

პროგრამა	ბიზნისის ადმინისტრირება და თანამედროვე ტექნოლოგიები	პროგრამის კოდი საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრის მიხედვით:	30091-04
	Business Administration and Modern Technologies	პროგრამის შიდა აღნიშვნა:	MBT

უმაღლესი განათლების საფეხური	II (მაგისტრატურა)	საკვალიფიკაციო ჩარჩოს დონე:	VII
მიმართულება სპეციალობა სპეციალიზაცია	ბიზნისის ადმინისტრირება (კოდი: 02) მენეჯმენტი (კოდი: 0203) -		
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნისის ადმინისტრირების მაგისტრი მენეჯმენტში Master of Business Administration in Management	კვალიფიკაციის კოდი:	0203
სწავლების ენა	ქართული		
პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა	120 ECTS ბტუ-ში აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს 60 ECTS კრედიტს (სემესტრში - 30 კრედიტი). მაგისტრანტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით დასაშვებია წლიური დატვირთვა იყოს 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა (ბტუ-ში 1 კრედიტი = 25 სთ). პროგრამის ხანგრძლივობა - 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი). პროგრამით გათვალისწინებული მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭება ხდება პროგრამის მოთხოვნათა შესრულებით პროგრამისთვის დადგენილი კრედიტის დაგროვების შედეგად.		
პროგრამის დამტკიცების აქტი	აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით: პროგრამის დამტკიცება და ცვლილებები (23.08.2016, 06.12.2016); ბოლო ცვლილებები (ოქმი №21, 24.09.2018)		
გადაწყვეტილება აკრედიტაციის მინიჭების შესახებ	№ 09, 14.02.2017		
პროგრამის ხელმძღვანელი	ნინო ენუქიძე, ბიზნისის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი	Tel.: Email:	+995599701080 nino.enukidze@btu.edu.ge

პროგრამაზე დაშვება

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად - არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. დამატებითი მოთხოვნა - ინგლისური ენის ფლობა B1.2 დონეზე. შიდა გამოცდები ტარდება სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მიზნით შიდა გამოცდების საკითხები წინასწარ განთავსდება ბტუ-ს ვებგვერდზე www.btu.edu.ge). ინგლისურ ენაში გამოცდის ჩაბარება არ მოეთხოვება პროგრამაზე სწავლის იმ მსურველს, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის არანაკლებ B1.2 დონეზე ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტს (მაგ.: უცხოეთში/საქართველოში ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი/დიპლომი), უცხოეთის/საქართველოს უსდ-ს მიერ გაცემული შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დიპლომის დანართი/ცნობა/სხვ., შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციის/წარმომადგენლობის/სხვ. მიერ გაცემული ვალიდური სერტიფიკატი/მოწმობა/სხვ., საერთაშორისო სერტიფიკატი (მაგ., TOEFL (Paper) – 477-510; TOEFL (CBT)- 153-180; TOEFL (IBT)-53-64; IELTS-4.5-5.0; Cambridge Exam- PET (IELTS 4.5); CEFR-(IELTS 4.5); VEC Online Score-58-65). პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება სამაგისტრო გამოცდის (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე (საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად). საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით მაგისტრანტებისთვის (უკვე მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობა წინამდებარე პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ბტუ-ში არსებული, განათლების (კრედიტების) აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით). პირი, რომელსაც პროგრამაზე სურს სწავლა და მისი მშობლიური ენა არ არის ქართული, ვალდებულია დაადასტუროს ქართული ენის არანაკლებ B1.2 დონის ფლობა (წარმოადგინოს ქართული ენის ფლობის დამადასტურებელი სერტიფიკატი (არსებობის შემთხვევაში) ან გაიაროს შიდა გამოცდა (ტესტირება) ქართულ ენაში; სერტიფიკატის წარმოდგენისა და ტესტირებისაგან თავისუფლდებიან პირები, რომლებსაც საქართველოში აქვთ მიღებული სრული ზოგადი განათლება ან აკადემიური ხარისხი მინიჭებული აქვთ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ქართულენოვანი პროგრამის შესწავლის შედეგად.

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამას აქვს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტრუქტურა (120 ECTS): 1) სასწავლო კომპონენტი (სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, 90 ECTS), 2) სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი, 30 ECTS). პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული და უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას პრინციპით: ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისაკენ. სასწავლო კურსების არჩევით მაგისტრანტს შეუძლია მისთვის სასურველი ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროფილის ფორმირება – პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის კომპეტენციები წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტებისა და მაგისტრანტის მიერ არჩეული სასწავლო კურსების მეშვეობით მიღწეული კომპეტენციების ერთობლიობას. პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭება ხდება არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვების და პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შედეგად. პროგრამის განხორციელებას, მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებისა და სხვ. საკითხები რეგულირდება ბტუ-ში მოქმედი მაგისტრატურის დებულებით (იხ. ბტუ-ს ვებგვერდი <https://btu.ge/ka/chven-shesakheb/maregulirebeli-dokumentebi>).

პროგრამის მიზანი

მოამზადოს ბიზნესის ადმინისტრირებაში სიღრმისეული ცოდნის მქონე პროფესიონალი, რათა მან, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, შეძლოს ბიზნესის ეფექტურად და ეფექტიანად მართვა. ასევე, მაღალტექნოლოგიური მიღწევების გათვალისწინებით, შეძლოს ინოვაციური ბიზნეს პროექტების ინიცირება და მართვა, საწარმოო პროცესების დაგეგმვა, შეფასება და კონტროლი.

პროგრამის შედეგები (ცოდნა და გაცნობიერება; უნარები; პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა)

1	კურსდამთავრებულს აქვს ბიზნესის ადმინისტრირებისთვის საჭირო ფუნქციონალური საკითხების: ფინანსების, მარკეტინგის, მენეჯმენტის, ოპერაციების, თანამედროვე ტექნოლოგიების სისტემური და სიღრმისეული ცოდნა. იცის სამეწარმეო პროცესების მართვისა და მათი მდგრადი განვითარებისთვის ეფექტიანობის გაზომვის მეთოდები. ასევე, სიღრმისეულად იცის მართვის პროცესის სტრატეგიის შემუშავებისთვის საჭირო კვლევის მეთოდები, სტატისტიკური მეთოდები, სტრატეგიული დაგეგმვა, ფინანსური დოკუმენტაციის მახასიათებლები და თანამედროვე ციფრული ტექნოლოგიები.
2	კურსდამთავრებული იყენებს მიღებულ ცოდნას პრაქტიკაში. შეუძლია ბიზნესსიტუაციის ანალიზი, სტრატეგიული და მარკეტინგული დაგეგმვა, ფინანსური ანგარიშგების მომზადება, საწარმოო პროცესების ოპერაციული დაგეგმვა და მართვა. სტატისტიკური მეთოდებზე დაყრდნობით, შეუძლია ორგანიზაციის წინაშე არსებული გამოწვევების შესახებ მონაცემთა შეგროვება, ანალიზი. შეუძლია ინოვაციური ბიზნესპროექტების ინიცირება და თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მართვა.
3	მიღებული სისტემური ცოდნის საფუძველზე, კურსდამთავრებულს შეუძლია ორგანიზაციის წინაშე არსებული სიტუაციის სიღრმისეული ანალიზი და რეგულაციური დასკვნების გაკეთება. არასრული ინფორმაციის საფუძველზე, შეუძლია კრიტიკული ანალიზი და ეფექტიანი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღება.
4	კურსდამთავრებულს შეუძლია მისი მოსაზრებებისა და დასკვნების სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე წარდგენა, პრეზენტაციის ჩატარება, დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, დებატი, კვლევითი ანგარიშის მომზადება და წარდგენა, დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტური და ეფექტიანი კომუნიკაცია. ასევე, კურსდამთავრებულს შეუძლია ჯგუფში მუშაობა, ჯგუფის ლიდერობა. სრულყოფილად ფლობს საერთაშორისო ბიზნეს ტერმინოლოგიას და კოლეგებთან ერთად ურთიერთობს საერთაშორისო პარტნიორებთან.

5	კურსდამთავრებული აცნობიერებს ცოდნის მიღების და განახლების მნიშვნელობას და საჭიროებას თანამედროვე, წარმატებული ბიზნეს ლიდერისა და მენეჯერისათვის. მას აქვს უნარი, მოიძიოს, გააანალიზოს და გამოიყენოს ბიზნესის ფუნქციონალური საკითხებში არსებული ცოდნა, მოიძიოს ინფორმაცია ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში არსებული უახლესი მიღწევების შესახებ. შეუძლია მიღებული განათლების შეფასება და საკუთარი პროფესიული განვითარებისათვის შემდგომი ფორმალური და არაფორმალური სასწავლო პროცესის დაგეგმვა.
6	კურსდამთავრებული იცნობს ბიზნესისა და კვლევის ეთიკის ნორმებს, აცნობიერებს მათი დაცვის აუცილებლობას ბიზნესში, სამეწარმეო და კვლევითი საქმიანობის განხორციელებისას. პატივს სცემს განსხვავებული კულტურისა და ღირებულებების მქონე ადამიანს.
კურსდამთავრებულის ზოგადი კომპეტენციები	
<input checked="" type="checkbox"/>	ინსტრუმენტული კომპეტენციები (იდენტიფიცირდება ზოგად და დარგობრივ ცოდნასთან; კონკრეტული უნარებთან (მაგ., ინფორმაციის/იდეების გაზრების, ოპერირების, გაცნობიერების, გამოყენების უნარი, ანალიტიკური უნარები, პრობლემის გადაჭრის გზის განსაზღვრის უნარი); მეთოდოლოგიურ უნარებთან (მაგ., დროის მართვის უნარი, სამუშაოს/საქმიანობის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი, გადაწყვეტილების მიღების ან პრობლემის გადაჭრის უნარი); ტექნოლოგიურ უნარებთან (მაგ., ტექნიკური საშუალებების და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი, ინფორმაციის მართვის უნარი, სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოძიების და შერჩევის უნარი), ლინგვისტურ უნარებთან (მაგ., წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი, უცხოური ენის ფლობა)
<input checked="" type="checkbox"/>	ინტერპერსონალური კომპეტენციები (იდენტიფიცირდება მაგისტრანტის ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან და თვისებებთან (მაგ., წარმატებისკენ და თვითრეალიზებისკენ სწრაფვა, ლიდერობა, კრეატიულობა, სიტუაციის კრიტიკული გააზრების და შეფასების უნარი, დამოკიდებულებების და მოსაზრებების გამოხატვის უნარი, თვითკრიტიკის და თვითშეფასების უნარი, ინდივიდუალურად/დამოუკიდებლად მუშაობის უნარი); სოციალურ უნარებს (მაგ., პიროვნებათშორისი ურთიერთობები, გუნდში მუშაობის და თანამშრომლობის უნარი, სოციალური და ეთიკური ღირებულებების გააზრების უნარი, კრიტიკულ სიტუაციებში ადეკვატური ქცევის უნარი, სხვ., რომლებიც წარმოადგენენ სოციალური ინტეგრაციის და კოოპერაციის საფუძველს)
<input checked="" type="checkbox"/>	სისტემური კომპეტენციები (ასახვენ ცოდნის, გაცნობიერების და დამოკიდებულებების ერთობლიობის გაცნობიერების, მთლიანის შემადგენელი ნაწილების დანახვის, ერთიან სისტემაში მათი ადგილის, ურთიერთკავშირის და ერთიანობის გააზრების უნარი, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, სწავლის უნარი, ახალ/გაუთვალისწინებულ სიტუაციებთან ადაპტირების უნარი, პროექტების მართვის უნარი, ცვლილებების დაგეგმვის უნარი, ინოვაციური საქმიანობის უნარი, კვლევის უნარი, ახალი იდეების გენერირების უნარი, ლიდერობის უნარები, და სხვ.)

სწავლება-სწავლის მეთოდები

სწავლება-სწავლის პროცესში, პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება ცოდნის გადაცემის ისეთი საშუალებები, როგორცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ელექტრონული რესურსით სწავლება და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდები მოიცავს შესაბამის აქტივობებს (მაგ., დისკუსია, დემონსტრირება, პრეზენტაცია და სხვ.). სწავლება-სწავლის პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მეთოდების კომბინირება, რაც მიმართულია სასწავლო და კვლევით პროცესში მაგისტრანტთა აქტიურ ჩართულობაზე, კვლევითი და სხვა უნარების (სიტუაციის კრიტიკული შეფასების, პრობლემების გადაჭრის მიზნით ახალი, ორიგინალური გზების ძიების და გადაწყვეტილების მიღების, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით შესასრულებელი სამუშაოს სტრატეგიულად და რაციონალურად დაგეგმვის, კვლევის მეთოდების შერჩევისა და კვლევის ჩატარების, რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის და სინთეზის, შედეგების შეფასების და ინტერპრეტაციის, პროფესიონალურ დონეზე დისკუსიის წარმართვის და სხვ.) ჩამოყალიბებაზე და უკვე არსებულის განვითარებაზე. პროგრამის კომპონენტის შესწავლისას გამოყენებული მეთოდები (მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში) უზრუნველყოფენ პროგრამის კომპონენტით დაგეგმილი დარგობრივი და/ან ზოგადი კომპეტენციების მიღწევას, ხოლო პროგრამის ყველა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა – პროგრამით დაგეგმილი კურსდამთავრებულის დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციის ჩამოყალიბებას.

შეფასების ზოგადი წესი

მაგისტრანტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით: 1) პროგრამის სასწავლო კომპონენტი - შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. ორივე ფორმაში დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (მითითებულია პროგრამის კომპონენტების სილაბუსებში). დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს; 2) პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი - შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით, მინიმალური კომპეტენციის ზღვარი მითითებულია შესაბამის სილაბუსში). წილადის სახით მიღებული შეფასების ქულა მთელ რიცხვამდე მრგვალდება დამრგვალების წესის შესაბამისად: 4 და ნაკლები - სიმცირისკენ, 5 და მეტი - მეტობისკენ. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შეფასების 100-ქულიანი სისტემა უშვებს 5 დადებით და 2 უარყოფით შეფასებას:

შეფასებები	ქულა	შეფასება	
5 დადებითი შეფასება	91 - 100	A	ფრიადი
	81 - 90	B	ძალიან კარგი
	71 - 80	C	კარგი
	61 - 70	D	დამაკმაყოფილებელი
	51 - 60	E	საკმარისი

2	41 - 50	Fx	ვერ ჩააბარა (მაგისტრანტს მეტი მუშაობა სჭირდება, ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
	40 - 0	F	ჩაიჭრა (მაგისტრანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

Fx შეფასება ნიშნავს, რომ: 1) პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში; 2) პროგრამის სასწავლო კომპონენტში მაგისტრანტს ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით იმავე სემესტრში დამატებით დასკვნით შეფასებაზე ერთხელ გასვლის უფლება, დამატებითი დასკვნითი შეფასება დანიშნება დასკვნითი შეფასების შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. დამატებით დასკვნით შეფასებაზე მიღებულ შეფასებას (ქულას) არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულები. დამატებით დასკვნით შეფასებაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით დასკვნით შეფასებაში მიღებული შეფასების გათვალისწინებით პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფორმდება შეფასება F=0 ქულა. შეფასება F ნიშნავს, რომ მაგისტრანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და 1) პროგრამის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი - მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას და მას ახალი ნაშრომი აქვს შესასრულებელი; 2) პროგრამის სასწავლო კომპონენტი - მაგისტრანტს სასწავლო კურსი ახლიდან აქვს შესასწავლი. პროგრამის კომპონენტში კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ დაგეგმილი (სილაბუსში მითითებული) სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება კანონმდებლობით დადგენილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

პროგრამის კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (დოქტორანტურაში) პროგრამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს სხვა მიმართულებაში/სპეციალობაში/სპეციალიზაციაში მაგისტრის აკადემიური ხარისხის საჭიროებას.

დასაქმების შესაძლო სფერო

- კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს:
- კერძო სექტორში, სახელმწიფო სექტორში და საერთაშორისო ორგანიზაციებში - საშუალო და ზედა რგოლის მენეჯერებში გადაწყვეტილების მიმღები მენეჯერის პოზიციაზე (მაგ. მმართველ მენეჯერად, პროექტის მენეჯერად);
 - საკუთარ საწარმოში - წამოიწყოს ინოვაციური ბიზნესი/პროექტი, ეფექტიანად მართოს კომპანია და სხვ.

პროგრამის მატერიალური რესურსი

პროგრამა ხორციელდება ბტუ-ს ბაზაზე შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით და უზრუნველყოფილია აუცილებელი რესურსით: ბტუ-ს ბაზაზე შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყენებით. ბტუ-ს ბაზა მოიცავს თანამედროვე ტექნიკით და ინვენტარით აღჭურვილ სასწავლო აუდიტორიებს, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკას, ბიბლიოთეკის (წიგნადი (ბეჭდვური და ელ.მატარებლებზე) ფონდს და მასში არსებული სამეცნიერო ელ.ბაზებს, კვლევების, განვითარებისა და ინოვაციების ცენტრის რესურსებს, ბტუ-ს კომპიუტერულ ბაზას და სხვ. პროგრამის კომპონენტები განხორციელდება ბტუ-ს ხელთ არსებული ყველა რესურსის გამოყენებით. პროგრამის განმახორციელებელ პირებს და მაგისტრანტებს აქვთ წვდომა უახლეს ლიტერატურასთან, იქნება გამოყენებული საქართველოს ეროვნული და მეცნიერებათა აკადემიის ბიბლიოთეკების ბაზა, ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ არსებულ მსხვილ ორგანიზაციებთან დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები და სხვა.

პროგრამის ფინანსური რესურსი

პროგრამა ხორციელდება ბტუ-ს ერთიანი საუნივერსიტეტო წესების შესაბამისად - ბტუ-ს სტრატეგიიდან და სამომავლო გეგმიებიდან გამომდინარე, პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია ბტუ-ს ბიუჯეტით.

პროგრამის ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ ბტუ-ს აკადემიური (მათ შორის, აფილირებული) პერსონალი და შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული სპეციალისტები, რომლებთანაც აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენციები, დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი, პროფესიული საქმიანობის გამოცდილება, სპეციალური მომზადება და სხვ.

პროგრამის გეგმა

№	კომპონენტი	წინაპირობები	ECTS	სულ სთ.	სემესტრები			
					I 30	II 30	III 30	IV 30
1	2	3	4	5	6	7	8	9
პროგრამის მოცულობა: 120 ECTS (1 ECTS = 25 სთ), სტრუქტურა: სასწავლო კომპონენტი (სავალდებულო, არჩევითი სასწავლო კურსები) - 90 ECTS, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი) - 30 ECTS.								
სავალდებულო ნაწილი			102		30	24	18	30
I სემესტრი			30					
<i>სავალდებულო</i>								
1.	MBT-01	ადამიანური კაპიტალის მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე	6	150	6		
2.	MBT-02	გლობალური სტრატეგიული მართვა	წინაპირობის გარეშე	6	150	6		
3.	MBT-03	მარკეტინგის მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე	6	150	6		
4.	MBT-04	ოპერაციული მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე	6	150	6		
5.	MBT-05	ფინანსური აღრიცხვა	წინაპირობის გარეშე	6	150	6		
<i>არჩევითი</i>			-	-	-			
II სემესტრი			24					
<i>სავალდებულო</i>								
6.	MBT-06	IT- სერვისების მართვა საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით	წინაპირობის გარეშე	6	150		6	
7.	MBT-07	ინოვაცია და სამეწარმეო უპირატესობა	წინაპირობის გარეშე	6	150		6	
8.	MBT-08	სტატისტიკა ბიზნესისათვის	წინაპირობის გარეშე	6	150		6	
9.	MBT-09	მენეჯერული აღრიცხვა	ფინანსური აღრიცხვა	6	150		6	
<i>არჩევითი</i>			6	150		6		
III სემესტრი			18					
<i>სავალდებულო</i>								
10.	MBT-10	მენეჯერული ეკონომიკა	გლობალური სტრატეგიული მართვა	6	150			6
11.	MBT-11	კვლევის მეთოდები	სტატისტიკა ბიზნესისათვის	6	150			6
12.	MBT-12	ფინანსური მენეჯმენტი	ფინანსური აღრიცხვა	6	150			6
<i>არჩევითი</i>			12	300			12	
IV სემესტრი			30					
<i>სავალდებულო</i>								
13.	MBT-13	სამაგისტრო ნაშრომი	კვლევის მეთოდები, ასევე - IV სემესტრამდე არანაკლებ 75 კრედიტის მიღება	30	750			30
მაგისტრანტის არჩევანით			18		-	6	12	-
1. სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები (არჩევის შესაძლებლობა „+“ მითითებულია სასწავლო კურსების წინაპირობების გათვალისწინებით)								
1.	MBT-14	Advanced Exel	წინაპირობის გარეშე	6	150		6	12
2.	MBT-15	ბიზნეს სამართალი	წინაპირობის გარეშე	6	150			
3.	MBT-16	სტრატეგიული ბიზნეს კომუნიკაციები	წინაპირობის გარეშე	6	150			
4.	MBT-17	ლიდერობა და გუნდის მართვა	წინაპირობის გარეშე	6	150			
5.	MBT-18	სტრატეგიული მეწარმეობა	გლობალური სტრატეგიული მართვა	6	150			
6.	MBT-19	ინტელექტუალური საკუთრება	წინაპირობის გარეშე	6	150			
7.	MBT-20	ელექტრონული ვაჭრობა	გლობალური სტრატეგიული მართვა; მარკეტინგის მენეჯმენტი	6	150			
8.	MBT-21	კორპორაციული მართვა	გლობალური სტრატეგიული მართვა	6	150			
9.	MBT-22	საწარმოს რესურსების დაგეგმარების ERP სისტემები	წინაპირობის გარეშე	6	150			

2. არჩევითი სასწავლო კურსები - გაცვლითი პროგრამის ფარგლებში						
(განხორციელების ადგილი - „ბრაგანჩას პოლიტექნიკურ ინსტიტუტი“, პორტუგალია / Polytechnic Institute of Braganca, Braganca, Portugal, Web page: www.btu.edu.ge , განხორციელების ენა ინგლისური, დაშვების წინაპირობა - ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე, წინაპირობებში მითითებულ სასწავლო კურსებში კრედიტის მიღება. 1 ECTS= 27 სთ.) მაგისტრანტი, რომელიც ირჩევს ამ მოდულს, წინა სემესტრებში სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით*.						
1.	MBTF-01	Advanced Topics in Management /მოწინავე საკითხები მენეჯმენტში	წინაპირობის გარეშე	6	162	+ +
2.	MBTF-02	Economics and Corporate Finance/ეკონომიკა და კორპორატიული ფინანსები	წინაპირობის გარეშე	6	162	
3.	MBTF-03	Managerial Instruments/მენეჯერული ინსტრუმენტები	წინაპირობის გარეშე	6	162	
4.	MBTF-04	Data Analysis/მონაცემთა ანალიზი	წინაპირობის გარეშე	6	162	
5.	MBTF-05	Advanced Human Resources Management/ადამიანური რესურსების მენეჯმენტი	წინაპირობის გარეშე	6	162	
6.	MBTF-06	Innovation Management and Entrepreneurship/ინოვაციური მენეჯმენტი და მეწარმეობა	გლობალური სტრატეგიული მართვა	6	162	
7.	MBTF-07	Strategic Management and Marketing/სტრატეგიული მენეჯმენტი და მარკეტინგი	წინაპირობის გარეშე	6	162	
8.	MBTF-08	Research Methodologies, Innovation and Entrepreneurship/კვლევის მეთოდოლოგია, ინოვაციები და მეწარმეობა	სტატისტიკა (ბიზნესისათვის)	6	162	
9.	MBTF-09	Project Management/პროექტების მენეჯმენტი	გლობალური სტრატეგიული მართვა	6	162	
10.	MBTF-10	Organizational Behaviour/ორგანიზაციული ქცევა	გლობალური სტრატეგიული მართვა	6	162	
3. სხვა სასწავლო კურსები (მოიაზრება: ა) განათლების იმავე საფეხურის სხვა უსდ-ს პროგრამით შესწავლილი (ბტუ-ს მიერ პროგრამის მიზნებისთვის აღიარებული) სასწავლო კურსები, ბ) ბტუ-ს გაცვლითი პროგრამით პარტნიორ დაწესებულებაში შესწავლილი სასწავლო კურსები/პროგრამის სხვა კომპონენტები)						
<p>შენიშვნა: მაგისტრანტი, რომელიც ირჩევს გაცვლითი პროგრამის ბლოკს/კომპონენტებს, ბტუ-ში სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, რომელმაც უნდა უზრუნველყოს წინამდებარე პროგრამის ყველა სავალდებულო კომპონენტის შესწავლა, წელიწადში - max 75 ECTS პირობით.</p>						

დამატებითი ინფორმაცია მაგისტრანტებისათვის

მაგისტრანტების კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი პრაქტიკული საქმიანობა - ბტუ-ს მაგისტრანტების დასაქმების ხელშეწყობის (დასაქმების მაჩვენებლის ზრდის) მიზნით, BTU Classroom-ის პროგრამაში ჩაშენებულია ფუნქცია „სტუდენტის ელექტრონული პორტფოლიო“. აღნიშნული გულისხმობს, რომ მაგისტრანტს შესაძლებლობა აქვს ასახოს მის მიერ განხორციელებული აქტივობები (მათ შორის, კურიკულუმის გარე) ელექტრონულად და გაუზიაროს წვდომა პოტენციურ დამსაქმებელს. ამ საქმიანობაში ჩართულობა ნებაყოფლობითია - არ მიეკუთვნება პროგრამის კომპონენტებს, არ ფასდება და მასში არ ხდება კრედიტის მიინჭება. ეს აქტივობა წარმოადგენს პრაქტიკული გამოცდილების შეძენის შესაძლებლობას მათთვის, ვისაც გამოცდილება არ აქვს ან აქვს ბიზნესის ადმინისტრირებისგან განსხვავებულ სფეროში. ასევე, პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში მაგისტრანტებს ეძლევათ შესაძლებლობა იმუშაონ საქართველოში არსებული უმსხვილესი კომპანიების ახალ ბიზნეს ქეისებზე, მოახდინონ კომპლექსური სტრატეგიული დაგეგმვა და ა.შ. ყოველივე კი შესაძლებლობას აძლევს ბტუ-ს შესძინოს მაგისტრანტს არა მხოლოდ თეორიული ცოდნა, არამედ მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარები. მაგისტრანტებს, რომელთაც სურთ პრაქტიკული გამოცდილების შეძენა და თეორიული ცოდნის მეტად განმტკიცება, ბტუ შესაძლებლობას აძლევს ითანამშრომლონ ორგანიზაციებთან, ურთიერთთანამშრომლობის შემორანდუმის ფარგლებში, განახორციელონ ვიზიტები და მის ჩაერთონ ორგანიზაციის სამუშაო პროცესში (ვიზიტის ხანგრძლივობა იქნება 1 თვემდე). ამ პერიოდის განმავლობაში, მაგისტრანტს ექნება წვდომა ორანიზაციის ხელთ არსებულ საჯარო ინფორმაციაზე. მაგისტრანტს ეყოლება პრაქტიკის ხელმძღვანელი/მენტორი, რომელიც გააცნობს მას ბიზნეს-მენეჯერის წინაშე არსებული ტიპურ სამუშაო პროცესს. ამის შემდგომ, მაგისტრანტს, რომელიც გამოთქვავს პრაქტიკულ საქმიანობაში მონაწილეობის სურვილს, ევალება 3-დან 5 გვერდამდე რეფლექციის დაწერა, რომელიც შემდგომ აისახება მის ელექტრონულ პორტფოლიოში. ელექტრონული პორტფოლიო იმართება ბტუ-ს კარიერული განვითარების ცენტრის მიერ და შესაძლებლობას აძლევს დამსაქმებელს ნათლად დაინახოს კანდიდატის პოტენციალი, ცოდნა და უნარ-ჩვევები.